



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #166/18<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*გვანცა მაისურაძე (სტუდენტი)*

### 1. საქმის ფაქტები:

კლიენტმა, როგორც შპს-ს დირექტორმა, უფლებამოსილება მიანიჭა ადვოკატს დაეცვა შპს-ს ქონებრივი და არაქონებრივ ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში. ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების განხორციელებისათვის კლიენტისაგან მიიღო საზღაური, ხოლო მოგვიანებით კვლავ მიიღო თანხა, რომლებიც დაიხარჯა არქივებსა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში წერილობითი მტკიცებულების შესაგროვებლად. ადვოკატი ძირითადად კომუნიკაციას აწარმოებდა კლიენტის მეუღლესთან. მან განახორციელა რიგი მოქმედებები: მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, საქმეს აწარმოებდა თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოებში, ადვოკატი მონაწილეობდა სასამართლო განხილვებში. თუმცა, საქმეზე არ დადგა კლიენტისათვის სასარგებლო შედეგი.

### 2. პროცესუალური ისტორია:

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილების, შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით.

### 3. სამართლებრივი შეფასება:

ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის განმარტებით ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურება განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად. ამ მიზნით ადვოკატი ვალდებულია კლიენტის სახელით და მისი ინტერესების დასაცავად შერჩეული სტრატეგიის შესაბამისად განახორციელოს ყველა სამართლებრივი მოქმედება, რაც დაკავშირებულია კლიენტის მიერ მინდობილ საქმესთან. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა კლიენტის დაცვის მიზნით განახორციელა რიგი სამართლებრივი მოქმედებები და მხოლოდ ის ფაქტი, რომ საქმეზე არ დადგა კლიენტისათვის სასარგებლო შედეგი, არ გულისხმობს ადვოკატის არაკეთილსინდისიერ და არაკვალიფიციურ მომსახურებას. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს არ დაურღვია საადვოკატო მომსახურების კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად გაწევის ვალდებულება.

ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატი ვალდებულია მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ, რათა მისთვის ნათელი იყოს საქმის მსვლელობა, რაც მას გარკვეულ მოლოდინს ჩამოუყალიბებს საბოლოო შედეგის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატს ძირითადად კომუნიკაცია ჰქონდა არა საჩივრის ავტორთან, არამედ კლიენტის უფლებამოსილ პირთან, რომელიც წარმოადგენდა კლიენტის მეუღლეს. შედეგად, კომისიამ დაასკვნა, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაცია გართულებული არ იყო და კლიენტს ჰქონდა ინფორმაცია საქმის მსვლელობის თაობაზე. შესაბამისად, დადგენილ არ იქნა ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმირების ვალდებულება.

1 <https://www.gba.ge/pdf/5d2f34903c361.pdf/166.18%2027.05.2019%20ar%20agdzvra.pdf>

ეთიკის კომისიამ ჩათვალა, რომ ადვოკატს არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი. საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ადვოკატს უფლება აქვს საადვოკატო მომსახურების გაწევის სანაცვლოდ კლიენტისგან მიიღოს ჰონორარი, რაც პროპორციულად უნდა იქნეს განსაზღვრული საადვოკატო მომსახურების მოცულობასთან. ჰონორარის ოდენობა წინასწარ უნდა იყოს ცნობილი კლიენტისთვის, ვინაიდან მას უფლება აქვს ჰქონდეს ინფორმაცია ადვოკატის მიერ გაწეული თითოეული მომსახურება რა ოდენობის თანხასთან იქნება დაკავშირებული. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა კანონით გათვალისწინებული სრული სამართლებრივი მოქმედებები განახორციელა შპს-ს ინტერესების დაცვის მიზნით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატმა სრულად შეასრულა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები და მას არ წარმოეშობა კლიენტისთვის თანხის პროპორციული დაბრუნების ვალდებულება. ამ პირობებში არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა თანხაზე შეთანხმდნენ კლიენტი და ადვოკატი.

#### **4. დასკვნა:**

ეთიკის კომისიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ დაადგინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილების დარღვევის ფაქტი, რის გამოც ადვოკატის მიმართ არ აღიმრა დისციპლინური ღეგნა.